ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N53

2014 წლის 19 ნოემბერი

დ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე, 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 23-ე და 25-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ - საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს N726 ბრძანებულების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დამტკიცდეს საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები დანართი 3-ის შესაბამისად.

მუხლი 4

2015 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიუციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N3.

მუხლი 5

დადგენილების მე-3 მუხლი ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 6

დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო

N	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა	საშტატო რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულო	13	
2	საკრებულოს თავმჯდომარე	1	2 650
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1 700
4	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე	1	1 350
5	სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1 350
6	საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1 350
7	ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1 350
8	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	1	1 350
9	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	6	1 350

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო

მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

N	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა	საშტატო რიცხოვნება
1	საკრებულოს აპარატი	საკრებულოს აპარატი	8
2	წამყვანი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს აპარატის უფროსი	1
3	უფროსი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1
4	უფროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი - იურისტი	1
5	უფროსი საჯარო თანამდებობა	საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1
6	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის, საკადრო-საორგანიზაციო და ელექტრონული მომსახურების საკითხებში	1
7	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საკრებულოს ნორმატიული და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, ვებ გვერდის მომსახურების საკითხებში	1
8	უფროსი საჯარო თანამდებობა	საოქმო და სამდივნო მომსახურების განყოფილების უფროსი	1
9	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო მომსახურების საკითხებში	1

დანართი 3

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა

თანამდებობრივი სარგოები

N	**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა**	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა	საშტატო რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს აპარატი	საკრებულოს აპარატი	8	
2	წამყვანი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1000
3	უფროსი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	800
4	უფროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი - იურისტი	1	700
5	უფროსი საჯარო თანამდებობა	საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1	850
6	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის, საკადრო-საორგანიზაციო და ელექტრონული მომსახურების საკითხებში	1	600
7	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საკრებულოს ნორმატიული და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, ვებ გვერდის მომსახურების საკითხებში	1	600
8	უფროსი საჯარო თანამდებობა	საოქმო და სამდივნო მომსახურების განყოფილების უფროსი	1	850
9	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო მომსახურების საკითხებში	1	600